

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს “ადია”

პერიოდი: 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე

AG International Consulting
Member of Prime Global
Audit & Business Advisory Services

AGIC

certified member



PrimeGlobal

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

შპს “ადია“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს “ადია“-ის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს” მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 21 თებერვალს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი
ასატულლა ივრამოვ
21 თებერვალი, 2025

შპს “ადია“

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს.

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს “ადია“-ის ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფასს” მცირე და საშუალო საწარმოების მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 21 თებერვალს.

მენეჯმენტის სახელით:



დირექტორი
ასატულლა ივრამოვ
21 თებერვალი, 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ადია“-ს მეწილეებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ადია“-ის (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს “ადია“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ადია“-ს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული აუდიტი არის პირველი კომპანიისათვის და შესაბამისად, ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები, რომლებიც გავლენას ახდენს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან

დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ადია“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „ადია“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ

შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმომთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამისი შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მამასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 21 თებერვალი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906
2025 წლის 21 თებერვალი

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.



გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
შპს ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
SARAS-F-344253
PrimeGlobal -ის წევრი
2025 წლის 21 თებერვალი



თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი
SARAS-A-913906
2025 წლის 21 თებერვალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი
აქტივები				
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	4	14,891,869	15,875,559	15,875,559
გაცემული სესხები	5	311,248	2,110,212	4,360,062
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,203,117	17,985,771	20,235,621
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		-	1,169,991	1,169,991
წინასწარ გადახდილი გადასახადები		20,330	1,009	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	9,228	351,721	2,592,242
სულ მოკლევადიანი აქტივები		29,558	1,522,721	3,762,233
სულ აქტივები		15,232,675	19,508,492	23,997,854
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	21,275,132	23,171,373
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		15,232,675	(1,766,640)	826,481
სულ კაპიტალი		15,232,675	19,508,492	23,997,854
სულ ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,232,675	19,508,492	23,997,854

დირექტორი

ასატულა ივრამოვ
21 თებერვალი, 2025

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი
აქტივები				
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	4	14,891,869	15,875,559	15,875,559
გაცემული სესხები	5	311,248	2,110,212	4,360,062
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,203,117	17,985,771	20,235,621
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		-	1,169,991	1,169,991
წინასწარ გადახდილი გადასახადები		20,330	1,009	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	9,228	351,721	2,592,242
სულ მოკლევადიანი აქტივები		29,558	1,522,721	3,762,233
სულ აქტივები		15,232,675	19,508,492	23,997,854
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	21,275,132	23,171,373
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		15,232,675	(1,766,640)	826,481
სულ კაპიტალი		15,232,675	19,508,492	23,997,854
სულ ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,232,675	19,508,492	23,997,854



დირექტორი

ასატულლა ივრამოვ
21 თებერვალი, 2025

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან	7	24,141,975	9,296,191
საერთო მოგება		24,141,975	9,296,191
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(31,041)	(9,833)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		24,110,934	9,286,358
ფინანსური შემოსავლები		8,068	133,969
წმინდა საკუთსო მოგება/(ზარალი)	9	(229,484)	(884,591)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	1,325,562	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11	(989,084)	(1,835,033)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		24,225,996	6,700,703
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,085,877)	(1,394,074)
წმინდა მოგება (ზარალი)		23,140,119	5,306,629
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		23,140,119	5,306,629

დირექტორი

ასატულლა ივრამოვ
21 თებერვალი, 2025

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან	7	24,141,975	9,296,191
საერთო მოგება		24,141,975	9,296,191
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(31,041)	(9,833)
საოპერაციო მოგება (ზარალი)		24,110,934	9,286,358
ფინანსური შემოსავლები		8,068	133,969
წმინდა საკუროსო მოგება/(ზარალი)	9	(229,484)	(884,591)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10	1,325,562	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	11	(989,084)	(1,835,033)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		24,225,996	6,700,703
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,085,877)	(1,394,074)
წმინდა მოგება (ზარალი)		23,140,119	5,306,629
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი		23,140,119	5,306,629



დირექტორი

ასატულლა ივრამოვ
21 თებერვალი, 2025

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (აკუმულირებული ზარალი)	ჯამი
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,171,373	826,481	23,997,854
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	5,306,629	5,306,629
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	(1,896,241)	-	(1,896,241)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(7,899,750)	(7,899,750)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,275,132	(1,766,640)	19,508,492
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	-	23,140,119	23,140,119
საწესდებო კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	(21,275,132)	-	(21,275,132)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(6,140,804)	(6,140,804)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	15,232,675	15,232,675

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023 წელის 31 დეკემბერი	2022 წელის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	23,140,119	5,306,629
არაფულადი კორექტირებები:		
მოგების გადასახადი	1,085,877	1,394,074
საპროცენტო შემოსავალი	(8,068)	(133,969)
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	229,484	884,591
ინვესტიციების გაუფასურების ზარალი	983,690	-
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	25,431,102	9,286,358
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	1,038,771	5,232
ცვლილებები გაცემულ სესხებში	1,756,099	-
ცვლილებები წინასწარ გადახდილ გადასახადებში	(19,321)	(1,009)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	(12,501)	(3,948)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	28,194,150	9,286,633
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,085,877)	(1,394,074)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	27,108,273	7,892,559
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიცია შვილობილ საწარმოებში	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდების გადახდა	(6,140,804)	(7,899,750)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(21,275,132)	(1,896,241)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	(27,415,936)	(9,795,991)
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება	(307,663)	(1,903,432)
უცხოური ვალუტის ეფექტიფულობე	(34,830)	(337,089)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	351,721	2,592,242
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	9,228	351,721

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ადია“ (ს/ნ: 404571682) დაარსდა 2019 წლის 11 იანვარს. შპს „ადია“-ს საქმიანობას წარმოადგენს პოლიტიკური საქმიანობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მეწილეები არიან: დიმიტრი აბდუშელიშვილი (პ/ნ 01008004795. წილი: 51 %), ალიშერ იკრამოვ (პ/ნ FA0404593, 01801139175. წილი: 24,5 %) და ასატულა იკრამოვ (პ/ნ AB6449143, FA0121187. წილი: 24,5%). დირექტორი - ასატულა იკრამოვ. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ზესიკის ქ., N4.

შპს „ადია“ წილს ფლობს შემდეგ კომპანიებში:

ორგანიზაციის დასახელება	ს/ნ	საქმიანობა	წილი 2023	ინვესტიცია - 31.12.2023	სტატუსი
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტიმენტ გრუპი	404542768	ბათუმის პორტის ტერიტორიაზე მინერალური სასუქების გადაზიდვისა და შენახვის სერვისების მიწოდება.	55%	14,878,048	აქტიური
შპს იბერია მეტალს	404563138	მეტალურგია	85%	983,690	უმოქმედო
შპს ბი.აი.ჯი ინვესტიმენტს	404569702	ინვესტიციები.	100%	-	უმოქმედო
შპს საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები	402063832	ტრანსპორტი, ინჟინერია და ტექნოლოგია.	90%	-	აქტიური
შპს აილოჯისტიკს	405334730	ლოჯისტიკა და სატრანსპორტო მომსახურება.	50%	-	უმოქმედო
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	404482396	სატრანსპორტო და ლოჯისტიკური მომსახურება.	66.70%	13,821	აქტიური
შპს ვონდერნეტ ექსპრეს	405555108	საერთაშორისო სატრანსპორტო და ლოჯისტიკა მომსახურება.	100%	-	უმოქმედო

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუკოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მსს ფასსთან. ვინაიდან კომპანიას არ ევალებოდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ფინანსური ინფორმაციის მომზადება და ასეთი არ მოუზადებია, ფინანსურ ანგარიშგებაში წინა ფინანსურ ანგარიშგებასთან შედარება მოცემული არ არის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და, ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო ღირებულებით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ფულადი სახსრები
- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური

ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალი, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მის შეძენას ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთ ხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

კომპანია აღრიცხავს მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციებს თვითღირებულების მოდელით მის ფასის მოთხოვნათა შესაბამისად. (სექცია 14 და სექცია 27 (აქტივების გაუფასურება) შესაბამისად).

მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია საწყისად აღირიცხება მისი შემენის ფასით (გადახდილ თანხას დამატებული პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები, თუ ისინი არსებითია). კომპანია ყოველწლიურად აფასებს, აქვს თუ არა ინვესტიციას ღირებულების გაუფასურების ნიშნები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 0 ლარი (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,275,132 ლარი).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან აღიარდება როდესაც მეკავშირე საწარმოში გამოცხადება დივიდენდი.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, გაცემულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება აქტივების ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე,

მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა, ასევე, იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი	14,878,048	14,878,048	14,878,048
შპს იბერია მეტალს	983,690	983,690	983,690
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	13,821	13,821	13,821
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(983,690)	-	-
სულ	14,891,869	15,875,559	15,875,559

2023 წელს შპს იბერია მეტალსმა შეაჩერა საქმიანობა. აღდგენის ღირებულების განსაზღვრა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა. შესაბამისად, მენეჯმენტის გადაწყვეტილებით განხორციელდა ინვესტიციის გაუფასურების რეზერვის შექმნა.

5. გაცემული სესხები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები	268,940	2,075,812	4,160,665
მისაღები პროცენტი	42,308	34,400	199,397
გრძელვადიანი ვალდებულებები	311,248	2,110,212	4,360,062
სულ	311,248	2,110,212	4,360,062

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	9,023	347,379	2,576,155
ლარი საბანკო ანგარიშებზე	205	4,342	16,087
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	9,228	351,721	2,592,242
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	-	-	-
სულ ნაღდი ფული სალაროში	-	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,228	351,721	2,592,242

7. შემოსავალი მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციიდან

შემოსავალი დივიდენდებიდან

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	13,073,808	9,296,191
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპი	11,068,167	-
სულ	24,141,975	9,296,191

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
თანამშრომელთა ხელფასი	26,344	-
მომსახურების ხარჯები	2,755	6,959
ბანკის მომსახურების საკომისიო	1,942	2,874
სულ	31,041	9,833

9. წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	274,792	3,090
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(504,276)	(887,681)
სულ წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	(229,484)	(884,591)

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
შემოსავალი ცესიის შედეგად	1,325,562	-
სულ	1,325,562	-

11. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12 თვე, 2023წ.	12 თვე, 2022წ.
ინვესტიციების გაუფასურების ზარალი	983,690	-
გაცემული სესხების პატიებიდან გამოწვეული ხარჯები	-	1,835,033
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5,394	-
სულ	989,084	1,835,033

12. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულია.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს“-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	გაცემული სესხები	დარიცხული პროცენტები
შპს იბერია მეტალს	983,690	-	-
შპს საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები	-	268,940	42,308
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპ	14,878,048	-	-
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	13,821	-	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	15,875,559	268,940	42,308

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	გაცემული სესხები	დარიცხული პროცენტები
ასატულლა ივრამოვ	981,793	-	-	-
დიმიტრი აბდუშელიშვილი	188,198	-	-	-
შპს იბერია მეტალს	-	983,690	-	-
შპს საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები	-	-	270,200	34,400
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპ	-	14,878,048	1,805,612	-
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	-	13,821	-	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	1,169,991	15,875,559	2,075,812	34,400

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2023	შემოსავალი დივიდენდებიდან	საპროცენტო შემოსავალი	გამოცხადებული დივიდენდები
ასატულლა ივრამოვ	-	-	1,230,045
ალიშერ ივრამოვ	-	-	1,624,715
დიმიტრი აბდუშელიშვილი	-	-	3,286,044
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპ	11,068,167	-	-
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	13,073,808	-	-
შპს საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები	-	8,068	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24,141,975	8,068	6,140,804

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	შემოსავალი დივიდენდებიდან	საპროცენტო შემოსავალი	გამოცხადებული დივიდენდები
ასატულლა ივრამოვ	-	-	1,935,439
ალიშერ ივრამოვ	-	-	1,935,439
დიმიტრი აბდუშელიშვილი	-	-	4,028,872
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ინვესტმენტ გრუპ	-	125,863	-
შპს ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია	9,296,191	-	-
შპს საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები	-	8,106	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	9,296,191	133,969	7,899,750

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2023 წელი	2022 წელი
ასატულლა ივრამოვ	26,344	-
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	26,344	-

14. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ:

- გამოცხადდა 12,506,167 ლარის დივიდენდი.

16. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

კომპანიის მიმდინარე ოპერაციების გარდაუვალი საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, არ არსებობს სალიკვიდაციო პროცედურების დაწყების ან კომპანიის საქმიანობის არსებითად შეზღუდვის განზრახვა.

17. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2025 წლის 21 თებერვალს.

შპს „ადიას“ მართვლობის ანგარიშგება

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს შპს „ადიას“-თან (შემდგომში „კომპანია“) დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საქმიანობის შედეგები. მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია ფაქტობრივ მაჩვენებლებს კომპანიის განვითარების პოტენციალისა. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

2. წარდგინება დირექტორისაგან

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გახადოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გავზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპანია“ (ს/ნ 404571682) რეგისტრირებულია 2019 წლის 11 იანვარს. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბესიკის ქ. 4.

„კომპანიის“ ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- დიმიტრი აბდუშელიშვილი (პ/ნ 01008004795) - 51%;
- ალიშერ იკრამოვი (პ/ნ 01801139175) - 24,5%;
- ასატულლა იკრამოვი (პ/ნ 01901139167) - 24,5%;

„კომპანიის“ დირექტორია - ასატულლა იკრამოვი (პ/ნ 01901139167).

„კომპანიას“ 2023 წლის 31 დეკემბრისათვის განცხადებული საწესდებო კაპიტალი არ გააჩნია.

„კომპანიას“ ყავს შემდეგი „მეკავშირე კომპანიები“:

- შპს „ვონდერნეტ ექსტრეს ინვესტმენტ გრუპი“ (ს/ნ 404542768) - 55%;
- შპს „ბი.აი.ჯი ინვესტმენტს“ (ს/ნ 404569702) - 100%;
- შპს „იბერია მეტალსი“ (ს/ნ 404563138) - 85%;
- შპს „ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია“ (ს/ნ 404482396) – 66.7%;
- შპს „აილოჯისტიკს“ (ს/ნ 405334730) – 50%;
- შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“ (ს/ნ 402063832) - 90%;
- შპს „ვონდერნეტ ექსპრეს“ (ს/ნ 405555108) – 100%.

„მეკავშირე კომპანიებიდან“ რეალურად ფუნქციონირებენ: შპს „ვონდერნეტ ექსტრეს ინვესტმენტ გრუპი“, შპს „ვონდერნეტ ექსპრეს ჯორჯია“ და შპს „საქართველოს ელექტრო ლოკომოტივები“. აღნიშნულ კომპანიებში შპს „ადიას“, წილის მიუხედავად, არ აქვს გადაწყვეტილებების მიღების უფლება. მართვა და გადაწყვეტილებებს ახორციელებს სხვა მენილეები და შპს „ადია“ მოელის მხოლოდ დივიდენდების მიღებას მეკავშირე საწარმოებიდან. დანარჩენ „მეკავშირე კომპანიებს“ დღიდან რეგისტრაციისა არანაირი ეკონომიკური საქმიანობა არ განუხორციელებიათ.

„კომპანიას“ „მეკავშირე კომპანიებში“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტირებული აქვს - 15 875 559 ლარი.

4. კომპანიის საქმიანობა

„კომპანიის“ საქმიანობას წარმოადგენს ჰოლდინგურ საქმიანობა.

„კომპანიამ“ 2023 წელი დაასრულა 23 140 119 ლარის წმინდა მოგებით რაც 17 833 490 ლარით (336%) აღემატება 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

5. შიდა სტრუქტურა

„კომპანიაში“ მკაცრადაა განსაზღვრული თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები. კომპანიას უშუალოდ მართავს დირექტორი რომელიც დამფუძნებლებთან ერთად იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მის მართვასა და ზედამხედველობას.

6. სამომავლო გეგმები

„კომპანია“ უახლოეს პერიოდში არ განიხილავას ახალი ინვესტიციების განხორციელებას.

7. რისკ-ფაქტორები

„მეკავშირე კომპანიების“ საქმიანობიდან გამომდინარე „კომპანიისთვის“ მთავარ რისკ ფაქტორს წარმოადგენს სავალუტო კურსის არა სტაბილურობა.

8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

„კომპანია“ ცდილობს დაამკვიდროს მაღალი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის.

„კომპანია“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,

პატივისცემით,

ასატულლა იკრამოვი
დირექტორი

21.02.2025

6. სამომავლო გეგმები

„კომპანია“ უახლოეს პერიოდში არ განიხილავას ახალი ინვესტიციების განხორციელებას.

7. რისკ-ფაქტორები

„მეკავშირე კომპანიების“ საქმიანობიდან გამომდინარე „კომპანიისთვის“ მთავარ რისკ ფაქტორს წარმოადგენს სავალუტო კურსის არა სტაბილურობა.

8. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

„კომპანია“ ცდილობს დაამკვიდროს მაღალი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადექვატური რეაგირებისათვის.

„კომპანია“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,

პატივისცემით,



ასატულლა იკრამოვი
დირექტორი

21.02.2025